ეროვნული ბიბლიოთეკა
Тбилисский ... Библиотека ИМЭЛ при ... ВКП(б)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. სექტემბრის 5 | № 19 | თბილისი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

74. საქართველოს სსრ-ში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწების და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

75. წითელწყაროს რაიონში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწებისა და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

76. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან გადმოსახლების განყოფილების ორგანიზაციის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

77. საქართველოს სსრ მთაგორიან რაიონებში მარცვლეული პროდუქტების ავტოსაჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ.

78. ტრესტ „საქმინწყალის“ ყველა მისი საწარმოებით საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემიდან საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

79. თამბაქოს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

80. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.

81. საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტის შედგენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

74. საქართველოს სსრ-ში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწების და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ“ 1939 წლის 27 მაისს მიღებული დადგენილების (სსრკ დადგ. კრ. 1939 წ. № 34, მუხ. 235) მე-8 პუნქტის შესაბამისად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საყანე მიწა (გარდა საკარმიდამო მიწისა) განისაზღვროს ნახევარი ჰექტარით საქართველოს სსრ ქვემოთჩამოთვლილ რაიონებში: აბაშის, ამბროლაურის, ბორჩალოს, ბაღდათის, ბათუმის, ვანის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, გალის, გუდაუთის, გაგრის, ზუგდიდის, ზესტაფონის, ქობულეთის, ქუთაისის, კასპის, ყარაიის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ორჯონიკიძის, ოჩამჩირის, ფოთის, სამტრედიის, საგარეჯოს, სოხუმის, სიღნაღის, ტყიბულის, თელავის, თბილისის, ხობის, ხაშურის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წულუკიძის, ცაგერის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, ჩხარის და ჭიათურის რაიონებში.

2. საქართველოს სსრ დანარჩენ რაიონებში — ახალციხის, ახალქალაქის, ადიგენის, ასპინძის, აღბულახის, ბოგდანოვკის, ბაშკიჩეთის, ბორჯომის, დუშეთის, ჯავის, ზნაურის, ქედის, ლენინგორის, ონის, სტალინირის, თიანეთის, წალკის და ხულოს რაიონებში იმ საყანე მიწის ოდენობა რომელიც ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში რჩება, განისაზღვროს ერთ ჰექტარამდე.

3. საქართველოს სსრ ყველა რაიონში ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა იმ მიწის ჩათვლით, რომელიც შენობებს უჭირავს, განისაზღვროს ჰექტარის 20 მეასედით (2.000 კვ. მეტრი).

4. ზემოაღნიშნულ ნორმებთან შედარებით ერთპიროვნულ მეურნეთა ყველა ზედმეტი როგორც საყანე, ისე საკარმიდამო მიწები მიეზომოს საკოლმეურნეო მიწებს და უმთავრესად მოხმარდეს კოლმეურნეობათა მიწის საკარმიდამო ფონდის შევსებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. ივნისის 22. № 1161.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

75. წითელწყაროს რაიონში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწებისა და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ.

დამატებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ „საქართველოს სსრ-ში ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საყანე მიწების და საკარმიდამო ნაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ 1939 წლის 22 ივნისს გამოცემული დადგენილებისა (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 19, მუხ. 74), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. წითელ წყაროს რაიონში ერთპიროვნული გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საყანე მიწა (გარდა საკარმიდამო მიწისა) განისაზღვროს ნახევარი ჰექტარით.

2. წითელწყაროს რაიონში ერთპიროვნულ გლეხური კომლის სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების ოდენობა იმ მიწის ჩათვლით, რომელიც შენობებს უჭირავთ, განისაზღვროს ჰექტარის 20 მეასედით (2.000 კვ. მეტრი).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. ივნისის 29. № 1231.
თბილისი.

---

76. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან გადმოსახლების განყოფილების ორგანიზაციის შესახებ.

„სსრკ სახკომსაბჭოს გადმოსახლების სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1939 წლის 23 ივლისის № 1099 დადგენილების შესაბამისად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ლიკვიდირებულ იქნას საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული გადმოსახლების ბიურო.

2. ლიკვიდირებულ იქნას აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გადმოსახლების საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულის ინსტიტუტი.

3. მოეწყოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან გადმოსახლების განყოფილება, რომელიც დაექვემდებაროს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების სამმართველოს.

4. საქართველოს სსრ გადმოსახლების ლიკვიდირებული ბიუროს 1939 წლისათვის გაღებული მთელი ასიგნობანი, სამშენებლო მასალათა ფონდები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრები გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებას.

5. აფხაზეთის ასსრ-ში გადმოსასახლებელ კოლმეურნეობათა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სამშენებლო კანტორები, რომლებიც საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და კოლხიდმშენთან არსებობენ, გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებას.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადმოსახლების განყოფილება ანხორციელებს კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა გადმოსახლებას მცირემიწიანი და მთაგორიანი რაიონებიდან მრავალმიწიან რაიონებში, აგრეთვე კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა გადმოსახლებას იმ მიწებიდან, რომლებსაც სამრეწველო საწარმოების, რკინიგზის მაგისტრალების, ჰიდროტექნიკურ და სხ. ნაგებობათა მშენებლობისათვის იყენებენ.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადმოსახლების განყოფილება გამოარკვევს იმ რაიონებს, სადაც კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სიჭარბეა; განსაზღვრავს გადმოსახლებულთა კონტინგენტს; აწესებს დასახლების ადგილებს; აწყობს გადმოსახლებულთა გადაყვანას და მათს მომსახურეობას გზაში; ატარებს მუშაობას დასახლების ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობისათვის დასახლების ადგილებში (მიწის ფონდების მომზადება და გამოყოფა, სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა, სამშენებლო მასალებით, ინვენტარით და სხვ. მომარაგება); აფინანსებს გადმოსახლებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს; ანხორციელებს კონტროლს გაღებული კრედიტების სწორად გამოყენებისათვის და უფარდებს გადმოსახლების დარგში არსებულ შეღავათებს.

8. იმ კოლმეურნეებს, რომელთაც მრავალმიწიან რაიონებში სურთ გადმოსახლება, განცხადებები შეაქვთ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ცნობებს გადმოსახლების მსურველთა შესახებ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები უგზავნიან საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებას.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული გადმოსახლების განყოფილება, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის საფუძველზე, დააწესებს და რაიონებს დაუგზავნის გადმოსახლების გეგმიან კონტინგენტებს და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად ატარებს გადმოსასახლებელთა შერჩევას და შერჩეულთა გაფორმებას.

9. მოეწყოს აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან გადმოსახლების განყოფილება, რომელიც დაექვემდებაროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებას, ამასთან დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კისროს მას მოვალეობა — მიიღოს გადმოსახლებულნი და კონტროლი გაუწიოს დასახლებულთა დაბების მშენებლობას.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებას ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილებათა სტრუქტურისა და შტატების პროექტი.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ გადმოსახლების განყოფილების უფროსად დაინიშნოს ამხ. ი. ნ. რაფავა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს
თავმჯდომარის მოადგ.
ს. ხოშტარია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის
მდივანი **კ. ჩარკვიანი.**

1939 წ. აგვისტოს 13. № 1572.
თბილისი.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

77. საქართველოს სსრ მთაგორიან რაიონებში მარცვლეული პროდუქტების ავტოსაჭაპნო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 13 იანვრის № 48 დადგენილებისა „მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის მარცვლეული პროდუქტების გადაზიდვის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ და თავის 1938 წლის 8 თებერვალს „საქართველოს სსრ მთიან რაიონებში მარცვლეული პროდუქტების ავტო-საჭაპანო გადაზიდვის განაკვეთების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 20) გამოცემულ დადგენილების დასამატებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნება დართულ იქნას პურეული პროდუქტების გადაზიდვა საკიდარებით თელავის რაიონის სოფ. ფშაველიდან მთათუშეთამდე (ომალო, დორტლო), ამასთან ხარჯები ანაზღაურებულ იქნას ფაქტიური ღირებულების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ათი მანეთისა ტონა-კილომეტრზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აგვისტოს 9. № 1522.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. ტრესტ „საქმინწყალის“ ყველა მისი საწარმოებით საქ. სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემიდან საქ. სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წ. 27 ივლისის № 766 დადგენილებისა „ტრესტ „საქმინწყალის“ — ყველა მისი საწარმოებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემიდან საქართველოს სსრ კვების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან არსებულ მთავარ საკურორტო სამმართველოს ტრესტი „საქმინწყალი“ ყველა მისი საწარმოებით გადაეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს. გადაცემა მოხდეს შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 15 თებერვლის დადგენილებისა „სახელმწიფო საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა გადაცემის წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 11, მუხ. 93).

2. ჩაბარებისა და მიღებისათვის შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ბახტაძე (თავმჯდომარე) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, გაბუნია, ამირაჯიბი (კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი), ფრანგულიანი, ფალავა, სვიმონიშვილი (ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი).

მიენდოს კომისიას ერთი თვის ვადაში დაამთავროს მიღება და ჩაბარება და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აგვისტოს 10. № 1550.
თბილისი.

---

79. თამბაქოს ვაჭრობის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს როგორც დაჭრილი, ისე ფოთლოვანი თამბაქოს საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ-გლეხური ვაჭრობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გარდა ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის და წალკის რაიონებისა, ვიდრე შესრულდებოდეს 1939 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიტანდეს სპეციალურ დადგენილებას, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს მიეცემათ თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის ნება.

2. ნება დაერთოს ადიგენის, ახალციხის და ასპინძის რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებსა და ერთპიროვნულ მეურნეებს თავისუფლად გაჰყიდონ საკუთარი მოსავლის თამბაქო წალკის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონების ტერიტორიის ფარგლებში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 29 მაისის დადგენილება „თამბაქოს თავისუფალი გაყიდვის შესახებ" (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 15, მუხ. 61).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. **შელეგია.**

1939 წ. აგვისტოს 25. № 1601.
თბილისი.

---

80. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1939 წლის 23 ივლისის კანონის შესაბამისად „საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ", საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შედგენილობაში შეიქმნას შემდეგი მთავარი სამმართველოები და განყოფილებანი:

ა) ექსპლოატაციის მთავარი სამმართველო, რომელსაც დაეკისროს საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის სისტემის ავტომანქანების ექსპლოატაცია;

ბ) სარემონტო საწარმოები, საგარაჟო მოწყობილობის წარმოების საწარმოთა და მომსახურეობის სადგურის მთავარი სამმართველო;

გ) ტექნიკური განყოფილება, რომელსაც დაეკისროს საავტომობილო ტრანსპორტის რემონტისა და ექსპლოატაციის ნორმატივების დამუშავება;

დ) საგეგმო-ფინანსიური განყოფილება;

ე) ცენტრალური ბუხჰალტერია;

ვ) სპეცგანყოფილება;

ზ) ადმინისტრატიულ-სამეურნეო განყოფილება;

ი) კადრების მომზადებისა და გადამზადების განყოფილება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) კაპიტალური მშენებლობის განყოფილება;

კ) სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების კანტორა.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის 1939 წლის შტატი დამტკიცდეს 65 ერთეულის რაოდენობით (მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგების კანტორის გარდა) მთავარ სამმართველოსა და განყოფილებათა მიხედვით განაწილების თანახმად.

3. 1939 წელს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის შტატი დამტკიცდეს 15 ერთეულის რაოდენობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სამი დღის ვადაში დაადგინოს ხელფასის განაკვეთები საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის, განსაზღვროს ხელფასის ფონდი და ადმინისტრატიულ სამმართველო ხარჯების ოდენობა 1939 წლის ბოლომდე.

5. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის მთავარ სამმართველოებს მიენიჭოს სამეურნეო ანგარიშის უფლებები თანახმად „სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოთა სამეურნეო ანგარიშის უფლებების შესახებ“ გამოცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. 15 ივლისის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 43, მუხ. 361).

6. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს გადაეცეს:

ა) „საქავტოტრანსის“ ყველა საწარმო და ავტომანქანა, თანდართული სიის თანახმად, ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ავტოტრანსპორტის მეურნეობის სამმართველოს შემდგომი არსებობა ჩაითვალოს ზედმეტად;

ბ) თბილავტოტრესტი, რომელიც გამოყვანილ იქნას თბილისის ქალაქის საბჭოს გამგებლობიდან;

გ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბარიტისა და დიატომიტის საწარმოთა ავტობაზები;

დ) ბენზინის სვეტები, თანდართული სიის თანახმად.

7. საწარმოთა გადაცემა ამ დადგენილების 6 მუხ. თანახმად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისათვის, მოხდეს აქტივითა და პასივით 1939 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით, კაპიტალური დაბანდებებითა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებით, რაც ამ საწარმოებს გამოეყო 1939 წლისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) არაუგვიანეს 1939 წლის 1 ოქტომბრისა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს 1939 წლის საფინანსო გეგმა;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იურიდიულ განყოფილებასთან ერთად დაამუშაოს და ერთი დეკადის ვადაში სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს განსახილველად დებულება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აგვისტოს 28 № 1657.
თბილისი.

დანართი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატზე გადაცემული ავტომეურნეობათა და მათი მომსახურე საწარმოების სია.

I. საავტოტრანსი

საავტომობილო საწარმოები

1.	თბილისის კანტორა	45	ავტომანქანა
2.	აფხაზეთის „	81	„
3.	ბორჯომის „	18	„
4.	ქუთაისის „	33	„
5.	აჭარის „	32	„
6.	ფოთის „	16	„
7.	გორის „	11	„
	სულ	236	ავტომანქანა

ავტოსარემონტო საწარმოები

1.	ავტოსარემონტო სახელოსნოები	ქ. თბილისში	1
2.	„ „	ქ. სოხუმში	1
		სულ	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაწყობო მეურნეობა

1. ქ. თბილისი	— 4	საწყობი	ფართობით 2495	კვ. მ.
2. ქ. ბორჯომი	— 1	„	„ 547	„ „
3. ქ. მახარაძე	— 1	„	„ 400	„ „
4. ქ. წნორის-წყალი	1	„	„ 343	„ „

იმყოფება დორტეკის და რკინიგზის სარგებლობაში იჯარით.

იმყოფება იჯარით „ტაბაკ-სირიოს“ სარგებლობაში.

სულ . . . 7 საწყობი ფართობით 3785 კვ. მ.

II. თბილავტოტრესტი . . . 170 ავტომანქანა

III. ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატი

1. ქ. ქუთაისი — ბარიტის ავტობაზა . . . . 24 ავტომანქანა
2. ქ. ახალციხე — დიატომიტის ავტობაზა . . 11 „

სულ . . 35 ავტომანქანა

IV. საბენზინო სვეტები

1. საქნავთგასაღება

გორი	1
ქუთაისი	1
სოხუმი	1
წნორის-წყალი	1
სულ	4

2. თბილგორტოპი

ქალ. თბილისი	3
დაბა ფასანაური	1
სულ	4

3. ქალაქის საბჭო

ქ. სოხუმი	1

4. აეროკოოპკავშირი

ქ. ბათუმი	1
სულ საბენზინო სვეტები	10

სულ	ა) ავტომანქანები	441
	ბ) ავტორემონტ. სახელ.	2
	გ) საწყობები	4
	დ) საბენზინო სვეტები	10

81. საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტის შედგენის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაუყოვნებლივ შეუდგეს საქართველოს სსრ 1940 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტის შედგენას იმ ანგარიშით, რომ მუშაობა დამთავრდეს და რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტი საქარ-

თველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოედგინოს არაუგვიანეს 1939 წ. 10 ოქტომბრისა.

2. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატისა და იმ ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან, არაუგვიანეს 1939 წ. 20 სექტემბრისა წარუდგინონ საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები 1940 წლისათვის.

3. დაევალოს სახალხო კომისარიატების (მსუბ. მრეწვ. სახ. კომისარიატი, საფეიქრო მრეწვ. სახ. კომისარიატი, სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატი, ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატი, საშენ-მასალათა მრეწვ. მთავარი სამმართველო, კვებ. მრეწვ. სახ. კომისარიატი, ხორცისა და რძის მრეწვ. სახ. კომისარიატი, საავტ. ტრანს. სახ. კომისარიატი, მიწსახკომი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, კომუნ. მეურნ. სახ. კომისარიატი, ჯანსახკომი, სოცუზრუნვ. სახ. კომისარიატი, განსახკომი) და ცენტრალურ დაწესებულებათა (ხელოვნების საქმეთა სამმართველო, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, მთავარი საგზაო სამმართველო, კინოფიკაციის სამმართველო) ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ საფინანსო გეგმების შედგენას სამეურნეო ორგანიზაციების მიხედვით და ხარჯთაღრიცხვების შედგენას მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიხედვით, ცალცალკე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხაზით, და უზრუნველჰყონ მათი წარდგენა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის არაუგვიანეს 1939 წ. 20 სექტემბრისა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას თავის დროზე წარუდგინოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს სახალხო მეურნეობის განვითარების 1940 წლის გეგმის მასალები და მაჩვენებლები (გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა, თვითღირებულების შემცირების პროცენტი, საქონელბრუნვის, ქსელის, კონტინგენტების, კაპიტალდაბანდებათა და სხვ. გეგმები).

5. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქალაქო საბჭოს შეუდგნენ 1940 წლის ბიუჯეტის შედგენას და არაუგვიანეს 1939 წ. 20 სექტემბრისა წარუდგინონ იგი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. აგვისტოს 28. № 1659.
თბილისი.

Тбилисский ... Библиотека ... имэл ... (б)

4
ГУСТ 33,35
Г,КЕ ИМЭЛ
1 1 12 СБ ГР 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის", პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმ. № ო—462 შეკვ. № 1089 ტირაჟი 2000